# ბ ო რ ჯ ო მ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

13 ივნისი
ხუთშაბათი
2024 წელი
№24 (9338)
ფასი 40 თეთრი


## კაპიტალური გრანტი კარგი მუშაობისათვის

**საქართველოს** მთავრობის განკარგულებით, ბორჯომის მუნიციპალიტეტმა 180 000 ლარის - კაპიტალური გრანტი მიიღო.




- აღნიშნული გრანტი მუნიციპალიტეტს ფინანსური მართვისა და სამიზნე მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის გამოიყო.

- მუნიციპალიტეტისათვის გრანტის განსაზღვრა გატარებული საბიუჯეტო ღონისძიებებისა და პროცესების შეფასების საფუძველზე განხორციელდა.

,,მოგეხსენებათ, რომ ფინანსთა სამინისტროსა და ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, ბორჯომის მუნიციპალიტეტისათვის 2023 წელს საბიუჯეტო მიმართულებით განისაზღვრა ამოცანები და სამიზნე მაჩვენებლები,რომელთა შესრულება ჩვენც საანგარიშო პერიოდში მოსახლეობასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან და საკრებულოსთან თანამშრომლობით წარმატებით შევძელით, - განმარტა ბორჯომის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **მაია პაიჭაძემ**.

### ,,ბორჯომის" ინტერვიუ

## სარეაბილიტაციო სამუშაოები დვირის საჯარო სკოლაში

**დვირის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები 2024 წლის 22 თებერვლიდან დაიწყო. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები და მოსწავლეები ქვაბისხევის საჯარო სკოლაში გადავიდნენ საგანმანათლებლო პროცესის გასაგრძელებლად. ახლა მათთვის პირველი გაკვეთილი 13:30 წუთზე იწყება. ქვაბისხევის საჯარო სკოლაში თითოეული საკლასო ოთახი 9 საათიდან 18 საათამდე სრული დატვირთვით მუშაობს. დვირის საჯარო სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს თანამშრომელთა და მოსწავლეთა გადაადგილებას.**

**ოთხმოცდაორი მოსწავლის ყოველი დღე სიახლესა და დიდი ემოციის მოლოდინს უკავშირდება, რომელიც სკოლის ახალ შენობასთანაა დაკავშირებული.**

**- მეთორმეტეკლასელებმა ბოლო ზარი რეაბილიტაციის პარალელურად სკოლის ეზოში, სპორტულ მოედანზე აღნიშნეს და საყვარელ სკოლასა და მასწავლებლებს დაემშვიდობნენ. მართლაც, უჩვეულო ბოლო ზარი იყო ჩვენი სკოლისათვის. მეოთხე კლასელებიც აქ გეგმავენ მასწავლებელთან დამშვიდობების ღონისძიებას. მეთერთმეტე კლასელები კი ემზადებიან ახალ სკოლაში როგორ დაგეგმავენ ბოლო ზარს. წელს 3 ოქროს მედალოსანი ჰყავს ჩვენს სკოლას - ნია ხუციშვილი, მარიამ სამსონიძე და თინათინ ჯავახიძე. თითოეულ მოსწავლეს ვუსურვებ წინსვლასა და ყველა მიზნის განხორციელებას.**

**სხვა მოსწავლეებს წრეებზე სიარულის გამო დადგენილი განრიგის გადაწყობა მოუწიათ, მაგრამ ვართმევთ თავს, რადგან გვპირდებიან, რომ სექტემბრისთვის ახალ რეაბილიტირებულ სკოლაში დავიწყებთ სასწავლო პროცესს, - გვითხრა სკოლის დირექტორმა ქალბატონმა დარეჯან კეველიშვილმა.**

მასწავლებლები და მოსწავლეები სკოლებს შორის დაგეგმილ ღონისძიებებს ესწრებიან და ერთმანეთს გულთბილად მასპინძლობენ.

- მადლობა მინდა ვუთხრა ქვაბისხევის საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ **ხათუნა მაისურაძეს,** რომელმაც ყველა პირობა შეგვიქმნა და ასეთი დამოკიდებულებით ერთგულად გვმასპინძლობს უკვე რამდენიმე თვეა.

სკოლა 1974 წელს აშენდა, მაშინ სკოლის დირექტორი VII კლასის მოსწავლე იყო. მის მშენებლობაში სიმბოლურად წვლილიც მიუძღვის. იხსენებს, რომ მოსწავლეები ერთმანეთს აგურს აწვდიდნენ კალატოზამდე რომ მისულიყო. ასევე სასიამოვნოდ იხსენებს სპორტდარბაზის მშენებლობაში ჩართულობის პროცესს.

- მშენებლები აქტიურად მუშაობენ, არც ერთი დღე არ ყოფილა, რომ მშენებლობის პროცესი შეჩერებულიყო, - საუბრისას აღნიშნა სკოლის დირექტორმა.

50 წელია, ასეთი მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა. აქ, დღემდე 1974 წელს დაგებული იატაკი ჰქონდათ.



ახლა კი მთლიანად ახლად გადახურეს სკოლის შენობა, შეცვალეს კარ-ფანჯრები, აყარეს იატაკი, ასევე დემონტაჟი მიმდინარეობს კიბეების და ამასთან მთლიანად ჩამოიღეს ჭერი.

დვირის საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოებს „საბა ქონთრაქშენი" ახორციელებს. განხორციელდება ახალი ელექტრო სისტემის გაყვანილობა, ლიფტის მონტაჟი და აღსანიშნავია, რომ შეიქმნება სსსმ (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე) მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოპირობები. ეზოც შესაბამისად მოპირკეთდება.

რაც შეეხება უსაფრთხოების ზომებს მაქსიმალურადაა დაცული, მუდმივად მოწმდება შიდა უსაფრთხოების სამსახურის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან.

- ჩვენ მოვახდინეთ სკოლის საძირკველის გამაგრებაც, მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ყველა უსაფრთხოების ნორმა, როგორც ახლა, ასევე სამომავლოდ. არ ვჩერდებით, შესაძლებლობების მაქსიმუმს ვაკეთებთ, - გვითხრა მშენებლობის მწარმოებელმა **გიორგი გოგალაძემ.**

მშენებლობაზე 80-მდე მოქალაქეა დასაქმებული, რომელთა ძირითად ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა წარმოადგენს.

მოსწავლეეებს გამოკვეთილად სურთ სპორტის მიმართულებით რაც შეიძლება ბევრი ინვენტარი ჰქონდეთ და დიდი სიხარულით ელოდებიან ექსპერიმენტულ გაკვეთილებს სკოლის ახალ ლაბორატორიაში.

**თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ სკოლაში სწავლის დაწყებას არა მხოლოდ სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები ელოდებიან, თითოეული დვირელი იმედის თვალით შეჰყურებს მათი სკოლის მშენებლობის პროცესს.**

**იზა იანვარაშვილი**

## ,,ერისიონი" შოუ-პროგრამას წარმოგვიდგენს




**18 ივლისს, ბორჯომში, ჯემალ ზეინკლიშვილის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე, 20 საათზე მაყურებელი „ერისიონის" სრულიად ახალ შოუ-პროგრამას იხილავს, რომელიც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა ბატონმა შერმანდი ჭკუასელმა და მთავარმა ქორეოგრაფმა ქალბატონმა ეკა ჭკუასელმა შექმნეს.**

**აუცილებელია, აღინიშნოს საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანის გვერდში დგომა. რომ არა სამინისტროს დაფინანსება და მხარდაჭერა „ერისიონი" რეგიონებში კონცერტებს სრულყოფილად ვერ ჩაატარებდა.**

**დიდი მადლობა ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიას და მერს, ბატონ ოთარ არბოლიშვილს გაწეული დახმარებისთვის და გვერდში დგომისთვის.**

## ფესტივალის დასკვნითი დადგმა



**XIX საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალი ბორჯომის თოჯინების პროფესიულ სახელმწიფო თეატრში 31 მაისს დაიხურა. ფესტივალის მხარდამჭერები იყვნენ: სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ბორჯომის მუნიციპალიტეტი, საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანება და ბორჯომის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი.**

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ხელის ჩრდილების სახელმწიფო პროფესიული თეატრის ,,**"აფხაზეთი" ბუდრუგანა გაგრას" წარმოდგენა** ",,წელიწადის ოთხი დრო"".

ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი **მანანა ხვედელიძე**.

ფესტივალი დაარსადა 2006 წელს და დაარსების დღიდან ატარებს სრულიად საქართველოს პატრიარქის ილია II-ს სახელს. მისი მიზანია ეროვნული და მსოფლიო აკადემიური ხელოვნების პოპულარიზაცია, როგორც დედაქალაქში ასევე რეგიონებში, საორგანიზაციო და შემოქმედებით პროცესში ახალგაზრდების ჩართვა და საგანგებოდ შემოქმედებითი ახალგაზრდების მიღწევების პოპულარიზაცია.

წლების მანძილზე ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელებად მოწვეულნი იყვნენ ეროვნული კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები: **მარინე იაშვილი, ბიძინა კვერნაძე, ლიანა ისაკაძე, ანზორ ერქომაიშვილი, ალექსანდრე კორსანტია, ნიკოლოზ რაჭველი, ვალერიან შიუკაშვილი, იანო ალიბეგაშვილი.** მუდმივი საპატიო სამხატვრო მრჩეველი **ალექსანდრე კორსანტია**. ფესტივალის შემოქმედებითი ისტორიის მანძილზე მოწვეულები იყვნენ მსოფლიო საშემსრულებლო და საკომპოზიციო ხელოვნების გამოჩენილი ადამიანები. ფესტივალი არაერთხელ დასახელდა წლის წარმატებულ საერთაშორისო პროექტად. დაარსების დღიდან ფესტივალს მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას უწევენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, თითქმის ყოველ წელს იტალიის საელჩო საქართველოში, თანაპარტნიორები იყვნენ ჩეხეთის, აშშ-ს საელჩოები, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, ცენტრალური სამუსიკო „ნიჭიერთა ათწლედი", ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონის თვითმმართველი ორგანიზაციები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, სახელმწიფო მუზეუმი, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, სხვადასხვა კომერციული ორგანიზაცია და სხვ.

## პარლამენტმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების თაობაზე „ამინისტიის შესახებ" კანონპროექტი დაამტკიცა



15 ნოემბერს პარლამენტმა ამინისტიის შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის უკანონო შეძენაში მონაწილე პირების სისხლის სამართლებლივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლებას. ამინისტია იმ პირებს შეეხება, ვინც 2013 წლის 1 სექტემბრამდე მოიპოვა მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება საქართველოს სისხლის სამართლის 180-ე მუხლით ან და 362-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან ასევე თავისუფლდება დანაშაულის თანამონაწილე, თუ სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანი ამ კანონით დადგენილი წესით ანაზღაურდება. ყველა ამინისტირებული პირი თავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, პირობითი მსჯავრისაგან და გადაუხდელი ჯარიმებისაგან.

ამინისტია მხოლოდ იმ პირებს შეეხება, ვინც 2024 წლის 1 სექტემბრისათვის სახელმწიფოსათვის მიყენებულ ზიანს სრულად აანაზღაურებს, კომპენსაციის მეთოდები მოიცავს ან სასოფლო-სამეურნეო მიწების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემას ან სახელმწიფო ბიუჯეტში ექვივალენტური თანხის გადახდას. ამინისტია არ შეეხება საჯარო მოხელეებს, სახელმწიფო საწარმოების თანამშრომლებს და მათ, ვინც სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენეს დანაშაულის ჩასადენად, ამასთან, ამინისტია არ ვრცელდება იმ პირზე, რომელმაც მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება 2023 წლის 31 აგვისტოს შემდეგ გაასხვისა. განაცხადის წარდგენის პროცესი მოითხოვს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საჭირო დოკუმენტაციის წარდგენას, ამინისტიციის შესახებ გადაწყვეტილებებს პროკურორები იღებენ გამოძიების დროს და მოსამართლეები სისხლის სამართლის სასამართლოს პროცესის დროს.

იმ პირებს, რომელზეც გავრცელდა ამინისტია, უფლება აქვთ, მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ერთჯერადად გაასაჩივროს, აღნიშნული გადაწყვეტილების მისთვის ჩაბარებიდან ორი კვირის ვადაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში, უზენაესი სასამართლო საჩივარს 10 (ათი) დღის ვადაში განიხილავს.

ამინისტია 2025 წლის 1 იანვრამდე უნდა შევიდეს ძალაში.

თედო მელიძე,

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის თანაშემწე სოფლის მეურნეობის დარგში, საქართველოს გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საზედამხედველო კომიტეტის კომისიის წევრი.**

**რაც დღეს საქართველოს აწუხებს!**

# ჩემო თვალის სინათლევ!

**„გუბეებში მოგროვილი წყალივითაა დღეს საქართველო“.**

მრავალჭირნახული პატარა ქვეყანა დიდი სატკივარით.

დღეს დიდი გამოწვევის წინაშე ვართ, ძალზე გონიერი გეოპოლიტიკური პროფესიონალი მოთამაშეები დგანან რიგი მოვლენების უკან და ჩვენი ჩათრევა სურთ...

მოვიშველიებ **აკაკი ჯორჯაძეს**: - მიუხედავად იმისა ვინ ვართ, ერთმანეთთან რა გვაკავშირებს, ერთმანეთი გვიყვარს თუ არა, პოზიცია ვართ თუ ოპოზიცია (ან მათი მხარდამჭერი) და ა.შ. ჩვენ ყველას საერთო სამშობლო გვაქვს წართმეული, მისი დაბრუნება და გადარჩენა მხოლოდ ჩვენი ერთიანობით არის შესაძლებელი. ეს არის ჩვენი ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი დიდი ომი - დიდგორიც, შამქორიც, ბასიანიც, მარაბდაც და ყველა ომი ერთად, საქართველოსა და ქართველი ერის დროში განსაზღვრული გარდუვალი დაღუპვისაგან გადასარჩენად!

ეს არის და იქნება, ჩვენი ერთობლივი ბოლო გაბრძოლებაც. ასეთ დროს ჩვენი წინაპრები ამბობდნენ: „ქუდზე კაციო“; ახლა, ქალსაც და კაცსაც ერთნაირად გვჭირდება ერთმანეთისთვის შეძახება, რომ ბოლო გადამწყვეტი ომიდან წაგებული არ გამოვიდეთ. ღმერთი - სიტყვა ჩვენთანაა!...“

გავიხსენოთ ზვიად გამსახურდიას პასუხი რუსი ჟურნალისტის შეკითხვაზე:

**- ბატონო პრეზიდენტო, ვინ არიან ის მსოფლიო ძალები, რომლებიც ასე თავისუფლად ერევიან სხვა სახელმწიფოების საქმეებში?**

- ესენი არიან კაცობრიობის მტრები ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს ჯგუფი მჭიდრო კავშირშია შეერთებულ შტატებთან, ევროპასთან და ისწრაფვის მსოფლიო ბატონობისაკენ. საერთოდ, მას ევრო-ამერიკულ იმპერიალიზმს ვუწოდებდი. მათი მთავარი ძალა კი შეერთებულ შტატებშია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში განხორციელებული იქნა სამხედრო გადატრიალება ოკეანის გაღმიდან, სახელმწიფო მდივნის ჯ. ბეიკერის პირადი მონაწილეობით და ბუშის კურთხევით. ბეიკერმა განმარტა, რომ შეერთებული შტატები არ დაუჭერდა მხარს საქართველოში მაშინდელ ხელისუფლებას და არ გაუწევდენ დახმარებას. შეერთებული შტატების მიერ საქართველოში განხორციელებული გადატრიალების სცენარი არაერთხელ გამოიყენა აშშ-მ პლანეტის სხვა რეგიონებში. -

**რატომ დაუპირისპირდა დასავლეთი თქვენს ხელისუფლებას?**

- იმიტომ, რომ ჩვენ შევეცადეთ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება, არ გვინდოდა დავმორჩილებოდით დასავლეთის ქვეყნების დიქტატებს და არ გავხდით მათი ინტერესების მსახურნი. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენ არ დავუშვით საქართველო დასავლეთის კოლონიად. მხოლოდ ძალაა მისაღები დასავლეთისთვის ასეთ შემთხვევაში, რომლითაც ის ისრულებს ყველა სურვილს. ეს იყო სამხედრო უპირატესობის ერთ-ერთი მიზეზი და ЦРУ-ს აგენტის და ევრო-ამერიკული იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტის ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის მიზეზი“.

დღეს დიდია ომში საქართველოს ჩართვის საფრთხე, როგორ და რა ფორმით, სწორედ ამაზე მიდის მსჯელობა კულისებში. საქართველოს, როგორც კოლონიას, არავინ შეეკითხება, სურს თუ არა ომში ჩაბმა!

არ მინდა დენთის სუნი იდგეს სამშობლოში... სამშობლო ჩვენი გენეტიკური მეხსიერებაა, ფესვები, რომელიც გვასაზრდოებს და წინაპართა უწყვეტ ჯაჭვში გვაერთიანებს.

**სამშობლო...!** ღმერთივითაა, უნდა გიყვარდეს და გწამდეს...

სამშობლოს არაფერს სთხოვენ, გიყვარს და ბედნიერი ხარ მაგით. მხოლოდ გტკივა და გიხარია, რომ შენი სამშობლოა...

**აბა ვის უნდა სტკიოდეს?** გენატრება... მოკლედ სატრფოსავითაა... გინდა, რომ გიყვარდეს... უზომოდ და უსასრულოდ გაგრძელდეს ეს სიყვარული....

ქრისტე რად გვიყვარს? ჯვარცმული, ნატანჯი, შეურაცხყოფილი... რას ელი მისგან, რა დიდებას? ვინც რამეს ელის, ის ქრისტიანი არც არის. უბრალოდ გიყვარს, უბრალოდ გტკივა და ეს არის შენთვის დიდი ბედნიერება...

სამშობლოც ეგრეა. უყვართ ყოველთვის უხმოდ, მდუმარედ... სიყვარული ხმამაღალ ფრაზებს ვერ იტანს. საქმით უნდა დაამტკიცო.

**ჩვენ გვავიწყდება, რომ ყველაფერი ზემოდან იმართება. თუმცა არაერთხელ თქვა და შეგვახსენა პატრიარქმა...**

ღმერთი ამდენ გულმხურვალე სიყვარულს თუ დაინახავს, თქვენ რას ფიქრობთ, დაღუპავს ჩვენ ქვეყანას? ჰოდა, ყველამ ჩვენ ჩვენს გულებში ჩავიხედოთ და თუ ასე გვიყვარს, როგორც ვყვირით, ამდენი სიყვარულის ენერგია, უშველის კი არა და თავზეც გადაუვა პატარა საქართველოს..

.ვისაც გული აქვს, იგრძნობს, ვისაც ყური აქვს გაიგებს...

სამშობლო უნდა ატარო შენს თავში, სიცოცხლესთან ერთად...

მოფრთხილება უნდა. გულში უნდა ახსენო, ისიც კრძალვით... როგორც მოკრძალებით ღმერთს ახსენებ. წარამარა ყვირილით უფასურდება ყველანაირი სიყვარული და მერე ძნელი გამოსარჩევი ხდება, ნამდვილი რომელია.

მაგრამ „ეს სამშობლო კი კარგახანია პოლიტიკოსების გასართობ არენად იქცა, თუმცა საკითხავია - ვინაა პოლიტიკოსი... ვინაა - პოეტი... ვინაა - პატრიოტი... ვინაა - ადამიანი და უბრალოდ, ვინაა - ვინ?!..“ **ვახტანგ ღლონტი.**

რომ გახედო, დღეს ყველა იურიდიული, ეკონომიკის, პოლიტიკური მეცნიერების (საერთაშორისო ურთიერთობების, თუ გეოპოლიტიკის) კურსდამთავრებულია ამ ქვეყანაში,.. ტრაგიკომედიაა პირდაპირ... **დავიღალეთ!** და... იმის მაგივრად, ერთმანეთი და სამშობლო გადაგვერჩინა, ორივე გადავარჩიეთ...

**„მკითხე, საქართველო, იქნებ მეც მაწუხებს რამე,**
**იქნებ მეც მჭირდება ზოგჯერ თანადგომა, მკითხე.**
**იქნებ აღარ დამრჩა ბოთლში აღარცერთი გრამი**
**შენი სიყვარულის გამაყუჩებელი სითხე“.**

**ამ ბოლო წლებში ყველა რომ “მესამე ძალას” გაიძახის ან იბრალებს, ხომ გამოჩნდა რეალურად ვინ არის მესამე ძალა?!**

- ახალგაზრდობაა რეალურად “მესამე ძალა” და არანაირი პოლიტიკური პარტია თუ ლიდერი არ არის და ვერც იქნება. ჰო! ახალგაზრდები არიან სწორედ ის, ვინც ამ ქვეყანას სამშვიდობოს გაიყვანს, უფალთან ერთად ერთობაში. მთავარია მიხვდნენ, რომელია სწორი გზა ჩვენი ქვეყნისთვის და არ იყვნენ შეცდომაში შეყვანილნი... „როდესაც 29 წლის გიგლა ბერბიჭაშვილმა ილია ჭავჭავაძეს ესროლა, მას ღრმად სწამდა, რომ თავად იყო პროგრესული, გულწრფელი ახალგაზრდა, ხოლო ილია ჭავჭავაძე - ჩამორჩენილი, არაკეთილსინდისიერი მოხუცი“.

## 30 წლის შემდეგ

**ჩვენ, ვინც ყოველთვის გამოვალთ გარეთ**
**და პურსაც მშიერ რაინდთათვის არ დავიშურებთ,**
**ვინც სამი ომი და სიცოცხლე გამოვიარეთ,**
**რომ არ გვქონოდა სინდისის ხმა გამოთიშული,**
**ვინც ბავშვობაში სიცრუე და იმედი ვჭამეთ,**
**ვისაც ყოველღამ კოშმარები გვესიზმრებოდა,**
**ვინც ვეზიარეთ უსახსრობას საერთო ჯამით,**
**ვიდრე სამშობლოს ტკივილისგან კანი ძვრებოდა,**
**ჩვენ, ვინც ვიხილეთ ნგრევა ძველის და ნგრევა ახლის,**
**ორპირობა და პირფერობა, პირისპირობა,**
**ვისაც სულ გვახსოვს სახელმწიფოს - ბებერი ძაღლის -**
**დადებული და გატეხილი ყველა პირობა,**
**თქვენი ტიტების, ვარდების თუ ცოცხების მიღმა,**
**ვინც გავიზარდეთ საკუთარი მომავლის შიშით,**
**ვინც ვერ მივენდეთ ვერც ბედსა და ვერც მწარე იღბალს,**
**ვერ ვისარგებლეთ ვერც ანდერძით, ვერც ჯილაგ-ჯიშით,**
**ვისაც მოგვბეზრდა უსასრულო ყიჟინები და**
**ტყუილ-მართალის რკვევა ფულის ტომრების გვერდით,**
**ბარაკებიდან, შტაბებიდან, ხიჟინებიდან,**
**ვინც გამოვედით სუფთა გულით, შიშველი მკერდით,**
**ჩვენ ახლა ვდგავართ, სადაც ადრე იდგნენ მამები,**
**სადაც დედები დაგვიჩეხეს ნიჩბებით მტრებმა,**
**სადაც ბრძოლით და ცრემლებით და ტანჯვა-წამებით**
**ისევ მოგვიხდა მარადიულ შიშებთან შებმა,**
**ჩვენ ახლა ვდგავართ ისე, როგორც სხვები არ მდგარან**
**და ჩვენი ლოცვა ისმის კიდევ უფრო ხმამაღლა,**
**შეხედეთ, ნახეთ, რუსთაველზე ქრისტე აღმდგარა,**
**შეხედეთ, ნახეთ, რუსთაველზე ქრისტე ამაღლდა,**
**შეხედეთ, ვისაც ყური არ გაქვთ სმენად რომ იქცეთ,**
**ისმინეთ, თუკი თვალისჩინმა დაგალალატათ,**
**ვინც მზად ხართ ყველა ერთიანად ცეცხლის ალს მიგვცეთ,**
**ვინც დაგაბრმავათ, დაგამუნჯათ, დაგაავადათ**
**იმ საუკუნო „მეგობრობის“ მონურმა სენმა,**
**ძალაუფლების წყურვილმა თუ წყურვილის ძალამ,**
**ჩვენმა ყვირილმა, ჩვენმა ცეკვამ, სიმღერამ ჩვენმა,**
**შეხედეთ, ნახეთ, ფუნდამენტი გამოეცალა**
**გუმბათს, რომელსაც დაავიწყდა კაპერნაუმი**
**და რომ ხალხი ფლობს ბეჭედსაც და ჯადოსნურ ჯოხსაც,**
**ხოლო ვინც ხალხში დაიძახებს სიტყვას „გაუმაააარ“**
**აუცილებლად საპასუხოდ მოისმენს „ჯოს“-საც,**
**რადგან მშრალია რუბიკონი, წილი კი ვყარეთ -**
**ავიღოთ რომი, დავუბრუნოთ დიდება ქალაქს,**
**ჩვენ, ვინც ყოველთვის ერთობაში ვიპოვით ძალას!**

**ალექსანდრე ლორთქიფანიძე**



**გავიაზროთ ქართველი საეკლესიო მოღვაწის მამა გიორგი ბასილაძის სიტყვები:**

„დამიგდეთ ყური, ბაბუა! საქართველოს გადარჩენისა და გაერთიანების გასაღებს ტყუილად დაეძებს ბევრი ამერიკაში და ბევრიც რუსეთში, ეს გასაღები აქვეა, საქართველოში და თითოეულ ქართველში...

ჩვენ საზეპურო ერი ვართ, საქართველო ქრისტეს ქვეყანაა და ქრისტე არ დათმობს მას. ღმერთი მსოფლიოს დაანახვებს ქართველების ნამდვილ სახეს და ეს მალე იქნება. საქართველო წმინდანთა სამჭედლოა, ბაბუა, და ჩვენ დამხობა არ გვიწერია...

საქართველო ყველა დაკარგულ მიწა-წყალს დაიბრუნებს, დაიმახსოვრეთ ეს! უყურეთ ღმერთსა, რა უყოს მტერსა!“

ჩვენ, უფროსები კი მოვეშვათ ახალგაზრდების კრიტიკას.

**„რა შენი საქმეა უშანგი, რა ფერად აქვს შეღებილი ფრჩხილები ლუბა ნოდიას?**

**ვინ გკითხავს შენ არჩილის შარვლის სივიწროვეს? მაგის ერთი ლექსი მირჩევნია შენს ფართო შარვალს...**

იაროს ახალგაზრდობამ ვიწრო შარვალსა და მოკლე კაბებში, ოღონდ იკითხოს წიგნი, უყვარდეს ერი, ქვეყანა, სამშობლო. ეკეთოს საყურე და ბეჭდები, ოღონდ სწამდეთ სიკეთე და პატიოსნება“ - **72 წლის წინ წერდა ნოდარ დუმბაძე.**

„საქართველო მზეთუნახავთა ორანჟერეა“ და „გმირების სამჭედლო“ გახლავთ!

როგორ უბრალოდ და დიდებულად მიმართავს დიდი ილია - „ჩემო თვალის სინათლევ““... მთელი გულით როცა გიყვარს, მაშინ გამოგდის უანგარო, უპირობო სიყვარულის ასე მარტივად, გასაგებად გადმოცემა.

მეც მიყვარხარ, ჩემო თვალის სინათლევ და მომავალი მაშინ მოჩანს, როცა აწმყოც ჩვენია.

როსტომ ჩხეიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში თქვა: „ჩემი საოცნებო სამშობლო როგორრია და - ძლიერი საქართველო ძლიერი კავკასიის შუაგულში““-ო, ჩემი საოცნებო სამშობლოც ასეთია.

მოდით, ნუ გავახარებთ მტრებს, ორივე მხარეს საქართველოა, ორივე მხარე ვალდებულია ერთმანეთს გაუფრთხილდეს! 26 მარტი გავიხსენოთ, როგორი ერთიანი და ბედნიერი იყო მთლიანი საქართველო!

უფალმა გაგვიძლიეროს და გაგვიმრავლოს ღირსეული მამულიშვილები ერის ბურჯად და ინტელექტუალურ საყრდენად მომავალი თაობებისა, გაერთიანებულმა სულმა გადაარჩინოს ქართველი ერი და საქართველო! ამინ!!!

„უნდა გადაგმალო საქართველო...
ვფიცავ, არ გავამხელ სად ხარ.
როგორ დამეღალე საფიცარო...
როგორ აგირიეს თავგზა.
უნდა გადაგმალო საქართველო...
ცხრა მთას, ცხრა ზღვას იქეთ, სადღაც...
ღმერთო, როგორ მინდა მოგიშუშო,
ყველა იარა და დამღა.
გულზე ჭრილობები დაგიკემსო,
ფეთქვა გაგიხშირო მაჯის.
მკერდზე გვირილები დაგაბნიო,
მინდა დაგამგვანო მზის სხივს.
უნდა გადაგმალო საქართველო...
მალე მოგაშორო ავ თვალს.
როგორ დამეღალე, საფიცარო...
როგორ აგირიეს თავგზა.
უნდა გადაგმალო, დამიჯერე,
აღარ დაგვრჩენია სხვა გზა.
იქ, სხვა ქართველები გელიან და
ვიცი მოგივლიან კარგად.
(კოლხეთელი)

მოამზადა ნანა კევლიშვილმა

# კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის საერთო საზრუნავია

**ბორჯომის თოჯინების თეატრის დარბაზში 5 ივნისს გაიმართა თემატური საღამო, რომელიც მიეძღვნა საქვეყნოდ აღიარებულ მეცნიერს, საქართველოს განძის გადამრჩენელს და საქართველოს ისტორიის გამორჩეულ მკვლევარს, „მეჭურჭლეთუხუცესად წოდებულ“ ექვთიმე თაყაიშვილის ნათელ ხსოვნას.**

**შეხვედრა** მეტად ორიგირალურად და საინტერესოდ წარიმართა, რაშიც უდავოდ დიდი წვლილი მიუძღვის ბორჯომის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ **ნაირა ამანათაშვილს** და მის კოლექტივს, ბორჯომის №6 საჯარო სკოლის უფროსკლასელებს, რომლებმაც **„საქმით მეტყველი სულის“** - ექვთიმე თაყაიშვილის ბიოგრაფია და მის მიერ ქვეყნისათვის გაწეული სამსახური შესანიშნავად წარუდგინეს მაყურებელს.

უდავოდ დიდია ექვთიმე თაყაიშვილის წვლილი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, რომელმაც საფუძვლიანად აღწერა ტაო-კლარჯეთის უდიდესი და ულამაზესი ეკლესია-მონასტრები, დიდი მუშაობა შეასრულა არქეოლოგიის ობიექტების, მათ შორის ბორჯომის არქეოლოგის შესასწავლად. სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. წლების მანძილზე ნაყოფიერად ილვწოდა საქართველოს წარსულის საფუძვლიანად შესწავლისათვის.



განსაკუთრებით ფასდაუდებელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი მენშევიკების მიერ საფრანგეთში გატანილი საქართველოს განძის დაცვისა და გადარჩენის საქმეში. ფაქტიურად, საქართველოს ისტორიის შესანიშნავმა მცოდნემ და დიდმა მეცნიერმა საკუთარი სიცოცხლე შეალია განძის სამშობლოში დაბრუნებას.

სწორედ ეს ისტორია შესანიშნავად აღწერეს №6 საჯარო სკოლის უფროსკლასელებმა **ნიკა, თორნიკე და ელენე გელაშვილებმა, თორნიკე ტალახაძემ, მარიამ ბუზალაძემ, მარიამ გრიგალაშვილმა, იაკობ ნაკაშიძემ, მარიამ ჩაჩანიძემ, ელისაბედ ბალიანმა, გუჯა გოგალაძემ და სანდრო თევდორაშვილმა.**

ბარაქალა ამ ახალგაზრდებს, რომლებმაც ლამაზი და შინაარსიანი ღონისძიებით კიდევ ერთხელ პატივი მიაგეს საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს, რომელმაც დღევანდელ თაობას შემოუნახა განძი, რომელიც საიმედოდაა დაცული საქართველოს ხელოვნების მუზეუმში. ეს განძი ჩვენი წინაპრების თავგანწირული შრომით და ბრძოლით მოვიდა ჩვენამდე. ნამდვილად საამაყოა ამ ახალგაზრდების მიერ კიდევ ერთხელ გაცოცხლებული ჩვენი ისტორია, სწორედაც რომ ეს ღონისძიება იყო იმ იდენტობის ლამაზად წარმოჩენა, რომელსაც თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

**მადლობა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს, ქალბატონ ნაირა ამანათაშვილს, №6 საჯარო სკოლის ხელმძღვანელობას, IX კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ქალბატონ ტასიკო ხაჩიძეს, საბიბლიოთეკო გაერთიანების ღონისძიებათა ჩატარების კურატორს, ქალბატონ ნანა ჩაჩანიძეს, ბორჯომის თოჯინების თეატრის ხელმძღვანელობას, ყველას ვინც ამ საინტერესო ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარებაში მიიღო მონაწილეობა.**

ღონისძიებაზე სიტყვებით გამოვიდნენ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი **ვალერიან ლომიძე**, რომელმაც ისაუბრა რომანოვების სასახლიდან მენშევიკების მიერ მიერ გატანილ სიმდიდრეებზე. ბორჯომის მერის პირველი მოადგილე **გიორგი ტაბატაძე, ნანა ჩაჩანიძემ** წაიკითხა საკუთარი ლექსი. **ნაირა ამანათაშვილმა** ღონისძიების ყველა მონაწილეს საჩუქრად წიგნები გადასცა.



ასეთი შინაარსიანი და შთამბეჭდავი ღონისძიებები დიდი სიკეთის მომტანია ახალგაზრდებისათვის და უფროსმა თაობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინონ მსგავსი შეხვედრებისადმი. სწორედ ასეთ შეხვედრებში ყალიბდება და მტკიცდება კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის.

**ვალერიან ლომიძე.**

# მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების შეხვედრა ფსიქოლოგთან

**მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის კამპანიის ფარგლებში, ლიტერატურული კლუბ ,,კარცერ-ლუქსის“ (ხელმძღვანელი: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ლია გულიკაშვილი) და შემეცნებითი ცენტრ ,,მანტიას““ (ხელმძღვნელი: იზოლდა იანვარაშვილი) ინიციატივით ფსიქოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი ქალბატონი გულიკო ბექაური თემაზე „მშობელთა ჩართულობა და თანამშრომლობა სკოლებში“ მასწავლებლებს, მშობლებსა და უფროსკლასელებს შეხვდა.**



ქალბატონმა გულიკომ ამომწურავად ისაუბრა მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იზრდება მათი მოტივაცია, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია, გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და უყალიბდებათ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. მშობელთა ჩართულობა დადებითად აისახება, არა მარტო მოსწავლეზე, არამედ თავად მშობელზე, პედაგოგსა და, ზოგადად, სკოლაზე. სწორედ ამიტომ დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ თემად შეიძლება მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი და მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენა.

მოზარდის ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და სოციალიზაციაში სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი აქვს. იგი ქმნის იმ უნიკალურ და თვითმყოფად გარემოს, სადაც ბავშვი თავისი ცხოვრების 12 წელს ატარებს, სადაც მას უყალიბდება სწავლისა და ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები, ღირებულებათა სისტემა. ამიტომაც მშობლისა და პედაგოგის ერთობლივი მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია.

**ქალბატონმა გულიკომ ისაუბრა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე, მათ გამომწვევ მიზეზებსა და გადაჭრის გზებზე. აღნიშნა, რომ მასწავლებლობა ყველაზე რთული, საპასუხისმგებლო და საპატიო პროფესიაა და ამ პროფესიის ადამიანებს მშობლები მეტი მონდომებით, პასუხისმგებლობითა და მოტივაციით უნდა დაუდგნენ გვერდით, რადგან ეს თავიანთი შვილების საკეთილდღეოდ გადადგმული ყველაზე წარმატებული ნაბიჯი იქნება.**

შეხვედრას ესწრებოდნენ ქალაქ ბორჯომის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ქალბატონი **იზოლდა ლომიძე**, რესურსცენტრის თანამშრომლები, რაიონის სკოლების დირექტორები, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეები.

შეხვედრის მიმდინარეობისას როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით ფსიქოლოგს დაუსვეს კითხვები, რომლებზეც მან ამომწურავად უპასუხა.

ულრმესი მადლობა ქალბატონ გულიკო ბექაურს და ამ შეხვედრის ინიციატორებს მეტად საინტერესოა და საჭირო შეხვედრისთვის.

**ჯულიეტა ჯინჯოლავა,**
**ბორჯომის №1 საჯარო სკოლის დირექტორი**

# სალოტბარო სკოლების საიუბილეო საღამო

**ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში სალოტბარო სკოლების დაარსებიდან 10 წლისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო 32 სალოტბარო სკოლის 500-მა მოსწავლემ. მათ შორის ბორჯომის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ (ხელმძღვანელები ლელა მუხურაძე, ტატიანა ივანიძე) გალა კონცერტზე დამსწრე საზოგადოებამ მოისმინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის გალობა, ხალხური სიმღერები და უნიკალური ქორეოგრაფიული ნიმუშები. საქართველოს ფოლკლორის ცენტრის დირექტორის, ბატონი გიორგი დონაძის ხელმძღვანელობით, ფოლკლორისტებისა და რეგიონების ლოტბარ-რეგენტების მონაწილეობით რეპეტიციები თბილისში 20 მაისიდან მიმდინარეობდა და მოსწავლეები მსმენელთან შესახვედრად აქტიურად ემზადებოდნენ. 26 მაისს კონცერტის რეპეტიციას საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრი, ქალბატონი თეა წულუკიანი დაესწრო. ქალბატონმა თეამ სალოტბარო სკოლების პედაგოგებსა და მოსწავლეებს წარმატებები უსურვა და სამინისტროს მხრიდან მხარდაჭერა აღუთქვა. ამასთანავე, მან ისაუბრა აღნიშნული სკოლების მიერ სხვადასხვა დარბაზებში კონცერტების გამართვის შესაძლებლობებზეც.**

**კონცერტის** მსვლელობისას, საოცარი ერთსულოვნება და დადებითი მუხტი იგრძნობოდა თითოეული ნომრის შესრულებისას, 500 ბავშვის სიხარულითა და პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე თვალები ანათებდა მუსიკალური ცენტრის სცენას. ყველა სტროფში საოცარი რუდუნება და ქართული სიმღერის სიყვარული იგრძნობოდა.

28 მაისს, გალა კონცერტზე გენიალურმა პიროვნებამ, ქალბატონმა **ეთერ თათარაიძემ** შესანიშნავი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას, სალოტბარო სკოლის მოისწავლეებსა და მათ პედაგოგებს:

- ამ დღეებმა ყველა ტკივილი დამავიწყა, სულ ამათზე ვფიქრობ, სულ ამათით ვცხოვრობ.

არ იღლებიან... განა ბალღობით არ იღლებიან?! დაიქანცებიან, საათობით რეპეტიციაზე არიან, სწავლობენ და შესვენების დროს, ქუჩაში რომ გამოდიან ფოლკლორის ცენტრიდან, სიმღერით მიდიან-ხოლმე. ღმერთო, სამღერალი არ დაულიო ჩვენს ქვეყანას და ჩვენს მიწას!

მე მაგონდება წლების წინ თეთრიწყაროში, სოფელ სამღერეთში გადაღებული საფლავის ქვები - სამი მომღერალი დის. მე და ამირან არაბულმა ჩავატარეთ კვლევები, რატომ ჰქვია სამღერეთი სოფელს და ეს დები ფანდურებით საფლავზე რატომ არიან გამოსახული... ადგილობრივები გვიყვებოდნენ, როცა მტერი შემოგვესიაო (არ ახსოვდათ, ვინ) დებმა მწყემსისგან გაიგეს, რომ მტერი შემოდის. აიღეს ფანდურები და სოფლიდან მოშორებით, საიდანაც მტერი მოდიოდა, დასხდნენ და დაიწყეს სიმღერა.

ისე მღეროდა სამივეო, ეს ლაშქარი დაატყვევა სიმღერამ და დაავიწყდათ რისთვის მოდიოდნენო. ამასობაში მწყემსი მიასწრებს სოფელში და სოფელს გახიზნავს.

სიმღერა არ უშვებდა აქეთ მტერსო.

მართლაც, როცა შევიდნენ სოფელში, ადამიანი აღარ დაუხვდებათ. მიხვდებიან ამ დებმა რაც გააკეთეს და სამივეს მოკლავენ.

ღმერთმა დაგვიფაროს! მე ვიცი, რომ ჩვენი სიმღერა მტერსაც ამუნჯებს, აშინებს და მოვიდა თაობა, მოვიდა ისევ იმედიანი თაობა, გული მომეცა, დიდი იმედი გამიჩნდა. აქ არც ერთი თუში ბავშვი არ იქნება, მაგრამ ისე მღერის ის წალენჯიხელი ბიჭი თუშურ სიმღერას, ისე გულიანად, ზოგი თუში ვერ იმღერებს და ბევრიც ვერ იმღერებს. ასე ასრულებენ ყველანი, სხვადასხვა კუთხის ბავშვები ამ თუშურს.

ჩვენ გვაქვს - ქორბეღელას ეძახიან თუშები, საფერხულო: ორსართულიანი ფერხული და შუაში უდგას მეციხოვნე - ასე ეძახიან, სიმღერით მიჰყვება, რომ არ დაიშალოს ხატის კარავი.

წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ფერხულია და მე სულ ვოცნებობდი, რაც ცოცხალი ვარ... დღეს აღარც თუშეთშია ეს მეფანდურე და მეციხოვნე, დღეს უკვე დაიკარგა, მხოლოდ ჩანაწერებშია ეს ყველაფერი შენახული და აი ახლა, დღეს გაცოცხლდება ეს ქორბეღელა!

ყველას მინდა ვუთხრა დიდი მადლობა ბავშვებს, გიორგის დიდი მადლობა...

ამ მეგარმონე ბიჭს დიდი მადლობა, ისეთ თუშურს ასრულებს...

ყველა ლოტბარს, ლიკას, როგორი დიდი სიყვარულით, რამხელა კოშკი ააგეს. ეს არ იყო ადვილი, ასეთ დონეზე მოტანა ამ ამბის, შეუძლებელია, თუ არ დაუჭერდა კულტურის სამინისტრო ამ ყველაფერს მხარს.

ადამიანებს უნდა შეეძლოთ დანახვა, რა არის ეროვნული!

აი, ეს არის ეროვნული დიდი საქმე! 500 ბავშვი რომ იმღერებს. ხუთასი თავის შვილს რომ ეტყვის, აი ასე ვიმღერეთ და ვიცეკვეთ!“ - აღნიშნა ქალბატონმა ეთერმა და ამ სიტყვებით ხომ მართლაც ყველაფერია ნათქვამი.



აღსანიშნავია, რომ საქართველოში არსებულ 32 სალოტბარო სკოლაში 1100-ზე მეტი ბავშვი ეუფლება ქართულ ხალხურ სიმღერასა და გალობას. წარმატებები თითოეულ პედაგოგსა და თითოეულ მოსწავლეს ამ მართლაც ეროვნულ საქმეში, რასაც ნამდვილი ქართული სიმღერის შესწავლა და პოპულარიზაცია ჰქვია.

მოამზადა **ნატო მელიქიძე**

## ვიცოდეთ ჩვენი ხეობის ისტორია

# როგორი იყო ბორჯომის ხეობა 200 წლის წინათ?

**პატივცემულო რედაქციავ!**

**თქვენ ხშირად აქვეყნებთ ისტორიულ მასალებს ბორჯომის შესახებ, რაც მეტად საინტერესოა. სამწუხაროდ, დღEმდე არ ვიცით, როგორი იყო ბორჯომის ხეობა 200 წლის წინათ, როგორ საზღვრებში იყო მოქცეული, როდემდე გაგრძელდა თურქების ბატონობა მტკვრის ხეობაში და სხვა. იქნებ ამ თემაზე გამოაქვეყნოთ წერილები.**

**ახალგაზრდების სახელით ოთარ გელაშვილი, თამარ ლომსაძე, ბესიკ ჩაჩანიძე, ვაჟა ლომიძე, თინათინ გოგოლაძე, ვეფხვია ჩადუნელი.**

**მკითხველისათვის საინტერესო იქნება იცოდეს, თუ როგორ ვითარდებოდა ბორჯომი და მისი ხეობის დაბა-სოფლები 200 წლის მანძილზე, ამასთან მიზანშეწონილია, ვიცოდეთ, თუ როგორ იცვლებოდა ბორჯომის ხეობის საზღვარი საუკუნეების მანძილზე ქართლსა და ახალციხის საფაშოს შორის. ამ საკითხზე ახალგაზრდებს აინტერესებთ წერილები, რასაც დიდი სიამოვნებით ვასრულებთ.**

ცნობილი ქართველი ისტორიკოსი **ნიკო ბერძენიშვილი** დიდებულ ნაშრომში **„საქართველოს ისტორიის ნარკვევების“** პირველ ტომში (1964წ.) საფუძვლიანად აღწერს ბორჯომის ხეობას და მის საზღვრებს და მიუთითებს, რომ **„ახალციხის საფაშოს საზღვარი ქართლთან ყოველთვის სტაბილური არ იყო“.** იგი ხშირად იცვლებოდა, განსაკუთრებით სამცხეში, სახელდობრ ბორჯომის ხეობაში.

1595 წელს ოსმალებმა დაპყრობილი ტერიტორიები აღწერეს და ბორჯომის ხეობა ცალკე **,,პეტრეს ლივად“ ანუ ცალკე „ოლქად“** გამოყვეს. იმ პერიოდში ,,პეტრეს ლივაში“ თითოოროლა მოსახლე ცხოვრობდა, ძირითადად სოფლები გაუკაცრიელებელი იყო. ეს ტერიტორია ქართლსა და ახალციხის საფაშოს შორის ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და აკრძალული იყო რაიმეს მშენებლობა და დასახლება.

**XVII-XVIII საუკუნეებში ბორჯომის ხეობა ქართლის შემადგენლობაშია.**

ვახუშტი თავის ცნობილ ,,აღწერაში“, სადაც XVIII საუკუნის ფაქტიური მდგომარეობაა აღნუსხული, მტკვრის ხეობის მიმოხილვისას აღნიშნავს, რომ **„ლიკნისა და ყვერბელის ხევს ზეით არს ჭობის ხევი და არს დვირამდე ქართლისა“.**

1757 წელს ჭობისხევის ციხეში ჩაკეტილი ავალიშვილები ენერგიულად ებრძოდნენ ლეკ-აბრაგებს.

**ვახუშტიმ თავის რუკაზე მტკვრის ხეობა სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შეიტანა.**

გერმანელი მოგზაურის და მეცნიერის გიულდენშტენდტის მიერ 1772 წელს შედგენილ რუკაზე ხეობა ქართლს არ ეკუთვნის და საზღვარი სურამთან გადის. მის მიერ აღწერილი ხეობის შესახებ წერს, რომ **,,ყველა ეს სოფლები განადგურებულია და ამასთან ქმნიან საზღვარს საქართველოსა და თურქეთს შორისო“.**

1672 წელს ახალციხიდან ბორჯომის ხეობის გავლით გამოიარა **ჟან შარდენმა,** რომელმაც აღწერა ეს ტერიტორია. იგი წერდა **„ახალციხიდან აღმოსავლეთით წავედით. სამი ეჯის (სიგრძის ერთეული), იქით არის მაგარი ციხე. ამ ადგილს უსკერი (აწყური) ჰქვია. აქ არის სანჯაყი, ჯარი, მხედრობა, მებაჟე... უსკერიდან ორ ეჯზე გადასასვლელი მთაა, რომელიც ყოფს სპარსეთს ოსმალეთისაგან-ო“.**

როცა **დიუბუამ** იმოგზაურა მტკვრის ხეობაში უჩვენეს კლდე, აწყურიდან 7-8 ვერსის მანძილზე, **სწორედ ამ კლდის ძირში გადიოდა საზღვარი თურქეთსა და რუსებს შორის. ე.ი. საზღვარი გადიოდა დვირის, მოქცევისა და ჩითახევს შორის“. ამასვე ადასტურებს არქივში არსებული 1828 წელს შედგენილი რუკა.**

XIX საუკუნის დასაწყისში ხეობა კვლავ ცარიელია და წარმოადგენს ნეიტრალურ ზონას ქართლსა და ახალციხის საფაშოს შორის. იქ იშვიათად თუ გამოჩნდებოდნენ გამბედავი და მამაცი ხის მჭრელები და მონადირეები, ადამიანთა ნამოსახლარები გაუვალ ტყეს და ნადირს ეკავა.

აი, რას წერს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი **,,ჩანს XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის პირველ მესამედში სულ ერთიანად გასცილდა ხეობას მოსახლეობა და შემდეგ ახალციხის შემოერთებიდან იწყება ხეობის კვლავ დასახლება“.**

ცნობილი ქართველი მკვლევარი და ისტორიკოსი **დავით ბაქრაძე წერდა: ,,ეს ხეობა მჭიდროდ იყო დასახლებული, მტკვრის ნაპირზე ჩვენ გვქონდა სოფლები, ბაღები, ვენახები, ასე იყო ძველად. ახლა ტყუილად ეძებთ ძველი კულტურის კვალს, მოსახლეობის შრომისმოყვარეობისა და ქმედითობის ნაყოფს, ყველაფერი გაპარტახდა. დიდხანს იყო ეს ხეობა ბრძოლის ასპარეზი... მოსახლეობა ან გაწყდა ან სხვა მხარეში გაიხიზნა. თავიანთი ქვეყნიდან წამოსული ლეკები ფაშას სამსახურში ჩადგებოდნენ და თავს ესხმოდნენ ამ უბედურების დროს მოსახლეობას, იტაცებდნენ ადამიანებს და ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც მათ მოხვდებოდათ გზაში“...**

1828-1829 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში ახალციხის საფაშოს დამარცხების შემდეგ ხეობაში სიმშვიდემ დაისადგურა, მკვიდრმა მოსახლეობამ კიდეც დაიწყო უკან დაბრუნება ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინათ მესხეთიდან იძულებით გაქცეულმა თავადაზნაურობის შთამომავლობამ, მშობლიურ მიწაწყალზე დაბრუნებულებმა კავკასიის მთავარმართებელს წარუდგინეს ქართველ მეფეთა მიერ გაცემული ძველი სიგელები მესხეთში მამულების მფლობელობის შესახებ და მოითხოვეს უკან დაბრუნება. მათ შორის იყვნენ ციციშვილები, ავალიშვილები, მუსხელიშვილები, გოგორისშვილები და სხვები. გენარალი პასკევიჩი გაბრაზებულა და საყვედური გამოუთქვამს **,,უმადური ქართველების“ მიმართ, - ქართველმა თავადაზნაურობამ ანგარიში არ გაუწია განვლილ საუკუნეებს და არც რუსების მიერ დაღვრილ სისხლს გაუფრთხილდა და უსირცხვილოდ ითხოვს ძველ მამულებსო.** (პასკევიჩის საყვედურის საწინააღმდეგოდ ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთის ომში რუსებზე ნაკლები სისხლი ქართველებს არ დაუღვრიათ და ახალციხეში რაბათის შტურმით **აღებისას**, სწორედ ქართველ გრენადერთა პოლკის ჯარისკაცებმა აღმართეს გამარჯვების დროშა, ასე რომ, პასკევიჩს ქართველების მიმართ სასაყვედურო არაფერი ქონდა). მეორე დღეს კი აწყურის ციხე აიღეს და ბოლო მოუღეს ლეკ-აბრაგთა თარეშს. ხეობაში სიმშვიდემ დაისადგურა.

ავალიშვილები კატეგორიულად ითხოვდნენ თხლად დასახლებულ ხეობაში თავიანთი ყმა-გლეხების დაბრუნებას. XVIII საუკუნის 30-იან წლებში ბრეთში შეხიზნული გლეხები ისევ უკან წამოიყვანეს და სადგერში, დაბაში დაასახლეს. იმავე დროს იმერელმა გლეხებმა მესხური მეურნეობა აღადგინეს დვირში, ქვაბისხევში, ბერისსაყდრებში, ახალდაბაში, ბეშეთში და სხვაგანაც. საკირეში ჩამოსახლდნენ გორის მაზრიდან 16 ოჯახი, ასევე დვირში დასახლდნენ პაპიძეები, სადაც იმერული მოახალშენებიც იყვნენ. ქართლიდან ქვაბისხევში გადმოსახლდნენ გოგიჩაშვილები, მაისურაძეები, იმერეთიდან ხაჭაპურაძეები და სხვები.

ფაქტიურად, მთელი XIX საუკუნეში აქტიურად მიმდინარეობდა ბორჯომის ხეობის ხელახალი დასახლება-განაშენიანება.

ბორჯომის ხეობისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდნენ მეფისნაცვლები, გაოცებულები იყვნენ ხეობის უნიკალური ბუნებით, ხოლო მას შემდეგ რაც ბორჯომის ხეობაში მინერალური წყალი აღმოჩნდა, მისადმი ყურადღება და მზრუნველობა კიდევ უფრო გაიზარდა და მკაფიოდ იკვეთებოდა სრულად საქართველოს და კერძოდ, ბორჯომის ხეობის მთლიანად დაპყრობის და მისაკუთრების სურვილი.

**ვალერიან ლომიძე**

(გაგრძელება იქნება)



# ვულოცავთ!

ჩვენს ერთგულ და გვერდში მდგომ

**ლალი ხიდაშელს**

დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაბადების საიუბილეო 75 წლისთავს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ოჯახურ და საზოგადოებრივ ბედნიერებას.

**ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მისი მრავალრიცხოვარი მრევლი.**

## პოეზიის კუთხე

# რ ო ც ა...



როცა რუსთაველს კარი გაუღეს
და გაამგზავრეს უცხო მხარეში,
მისი ნაშრომი ვერ დააფასეს,
უვიცებს ერგოთ სიტყვით თარეში.

როცა ილიას ტყვია ესროლეს,
როგორც ბრძენს, არვინ დაუდგა მხარში,
მისი რჩეული ნაწარმოები
იწერებოდა გამყინავ ქარში.

როცა აკაკი არ დააფასეს,
ერთ ბოთლ ღვინოზე გაცვალეს წამში,
რჩეული სიტყვა, ფიქრი აზრები,
იკრიფებოდა ზეცაზე, ზღვაში.



მთებიდან ჩასულს, დახეულ ჩოხით,
დიდი ხურჯინით, ვაჟას დასცინეს,
წლების მერე კი მისი შვლის ნუკრი
დასალუპავად ველარ გასწირეს.

როცა ნახევრად ცივ-ბნელ დარბაზში,
გალაკტიონი მარტო აღმოჩნდა,
იუბილეზე იგრძნო მგოსანმა,
მის გვერდში მყოფი მაშინ გამოჩნდა.

რამდენი წყენა, აუგის სმენა,
მგოსნებზე, ყურმა უნდა გაიგოს?
ამქვეყნად შური, მტრობა და გმობა
გაქრეს,წყალმა და ქარმა წაიღოს.

მე კი ვინა ვარ? პატარა მწერი
და ვიღაც ცდილობს, როგორ დამწიხლოს,
ჩემს მკითხველს გული თუ ვერ გავულღვე,
მე გული რაღამ უნდა მატკინოს?

**იზო სარქისიანი.**

# ნოვატორი პედაგოგის შეგონებანი და რჩევები

**ამას წინათ**, ხელში ჩამივარდა ცნობილი, ნოვატორი პედაგოგის აკადემიკოს ბატონ **შალვა ამონაშვილის** ბროშურა, რომლის შეგონებები და რჩევები ადამიანის, მით უფრო მოსწავლე-ახალგაზრდობის სულის საგზლად უნდა იქცეს.

მაშ ასე, მოვუსმინოთ ცნობილ ნოვატორ პედაგოგს და თუ ჭკუაში დაგვიჯდება, ცოტა რამ მაინც გავითვალისწინოთ:

**ირწმუნე: სამყარო ღმერთის შემოქმედებაა. ადამიანი ღმერთის შვილია. ყველაფერი ადამიანისთვის არის შექმნილი;**

**იცოდე**: სამყარო უსასრულოა. ადამიანის სული მარადიულია, ადამიანი სამყაროს მგზავრია;

**ცხოვრების აზრი**: დედამიწაზე ადამიანის ცხოვრების აზრია სულის სრულყოფა;

**უნდა მივაჩვიოთ** საკუთარი მისიის აღსრულება. გვიყვარდეს ყველა, იცხოვრე სინდისით;

**ეთაყვანე**: მშობლებს, სამშობლოს, წინაპრებს;

**იყავი**: გონიერი, მეგობრული, უშურველი, შენი სიტყვის პატრონი;

**გაუფრთხილდი:** მშობლიურ ენას, შენს მეტყველებას, შენს სახეს და ღირსებას;

**ავარჯიშე**: შენი ნიჭი, რომ ჩაწვდე მოვლენათა სიღრმეს;

**ავარჯიშე** შენი კეთილი გრძნობები, რომ განიცადო სიკეთის მადლი, ავარჯიშე ხელები, რომ შექმნა ხელთუქმნელი საგანძური.

**არ აჰყვე**: ცდუნებებს, არ დაკარგო დრო, არ დააჩაგვრინო თავი დროსტარებას, არ მოექცე ცუდ წრეში და ცუდი გავლენის ქვეშ.

**არ მიეჩვიო**: სიგარეტის წევას, არ მიეჩვიო ღვინის სმას, არ გაეკარო ნარკოტიკებს, არ აჰყვე ბილწსიტყვაობას, არ უსმინო ცუდ მუსიკას, არ გაერთო ცუდი სანახაობით;

**წაიკითხე და ისწავლე**: წაიკითხე შოთას ,,ვეფხისტყაოსანი", წაიკითხე ილიას ,,კაცია ადამიანი"?!", წაიკითხე ვაჟას ,,გველისმჭამელი", ისწავლე ბარათაშვილის, მუხრან მაჭავარიანის ,,**შენ სისხლო ჩემო**";

**სამაგიდო წიგნად** გაიხადე ,,ახალი აღთქმა";

**წყენა და მიტევება**: წყენა ბედნიერებას აძევებს. მიტევება ბედნიერებას აახლოებს, წყენა ცხოვრებას არღვევს, მიტევება ცხოვრებას აღორძინებს.

**წყენა** - ციხეა, მიტევება - ტყვეობიდან გათავისუფლებაა, წყენა - სულის უძლურებაა, მიტევება - სულიერ ძალთა განმტკიცებაა.

**წყენა** - სნეულებაა, მიტევება - განკურნება.

**ვინც აწყენინა** - ბრმაა ცალი თვალით, ვინც იწყინა ბრმაა ორივე თვალით, ვინც აწყენინა - თავსლაფი და სირცხვილი;

**ვინც აწყენინა,** - ვიდრე მთელი გულწრფელობით არ სთხოვს შენდობას, ხოლო ვინც იწყინა, ასევე მთელი გულწრფელობით არ შეუნდობს, - ორივე უღელში შებმული კამეჩია და ცოდვებით სავსე ურემს ექაჩება;

**ვინც გულში** წყენას ინახავს, ვირს გავს, რომელიც ზურგზე აკიდებული ხურჯინით ქვებს დაათრევს;

**სწორი გზით** მიმავალი ადამიანი **არც ვინმესგან იწყენს და არც ვინმეს აწყენინებს.**

**როცა ბედნიერებას** განიცდი, ნურც უბედურებას დაივიწყებ, მაგრამ არ შეიმცირო სიხარული;

**ის, რითაც ამქვეყნად** მოვედი, ღმერთის საჩუქარია ჩემთვის, ის, რითაც ამქვეყნიდან წავალ, ჩემი საჩუქარი იქნება ღმერთისთვის;

**მე თუ იეროგლიფებს** ლამაზად ვწერ, იმიტომ კი არა, რომ იეროგლიფები უნდა იყოს ლამაზი, არამედ იმიტომ, რომ ჩემი სული უნდა გახდეს ლამაზი;

**ადამიანის სული ალმასია** და მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, გახდება ეს ლამაზი ბრილიანტი თუ არა.

**ბატონ შალვა ამონაშვილის ნააზრევი, წერილის სახით მოამზადა ჟურნალისტმა თემურ ხუხუნაიშვილმა.**



# მკლავჭიდელების წარმატება

**ბრატისლავაში** (სლოვაკეთი) დასრულდა ევროპის ჩემპიონატი მკლავჭიდში. ასპარეზობაში ორმოცამდე ქვეყანა ასპარეზობდა და საქართველოს ნაკრებმა გუნდურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა. ჯამში ჩვენს ქვეყანას მკლავჭიდელებმა 193 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოუპოვეს. განსაკუთრებით საამაყოა ბაკურიანელთათვის ჩვენებური ათლეტების წარმატება. მწვრთნელმა და მოქმედმა მკლავჭიდელმა, მრავალი ტიტულის მქონე **დათო გავვამ** სლოვაკეთში **დათო მელიქიძე** და **ნელი უსტიმენკო** წარადგინა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა საქართველოში გამარჯვების შედეგად მოიპოვეს. ნელი უსტიმენკომ თვრამეტ წლამდე გოგონათა შორის ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა მარჯვენა და მარცხენა ხელით ჭიდილში, ხოლო **დათო მელიქიძემ** თხუთმეტ წლამდე ვაჟებს შორის მესამე ადგილი დაიკავა და მანაც ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა სამშობლოში. აღსანიშნავია, რომ მელიქიძე შარშან გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობდა და მეოთხე საპატიო ადგილი მოიპოვა.

დათო გავვამ საუბრისას განსაკუთრებულად აღნიშნა ბორჯომის მერიის გვერდში დგომა და ჩვენებური მკლავჭიდელების წარმატების ღირსეულად დაფასება. მკლავჭიდელების სამომავლო გეგმები მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობაა, რომელიც აგვისტოში მოლდოვაში გაიმართება.

**რუსუდან სხირტლაძე**

# ეკოფესტი ბაკურიანში

**საქველმოქმედო ორგანიზაცია სადაგი მოხალისეებთან და სპონსორებთან ერთად, აგრძელებს შარშან წამოწყებულ აქციას და 15-16 ივნისს დასუფთავების ფესტივალს ტრადიციულად ისევ ბაკურიანში უმასპინძლებს.**

ეკოფესტის ფარგლებში, ორი დღის განმავლობაში დასუფთავდება დაბა ბაკურიანი და მის მიმდებარე ტერიტორიები.

გარდა გარემოს დასუფთავებისა, ფესტივალის მიზანია, დაეხმაროს ადამიანებს ჩაუნერგოს საკუთარ გარემოზე ზრუნვიასთვის გაერთიანების მნიშვნელობა.

შარშან ჩატარებულ ანალოგიურ ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 400-ზე მეტმა მოხალისემ და შეგროვდა 230 ტონაზე მეტი ნარჩენი.

წლევანდელი ფესტივალის მონაწილეთა შორის იქნებიან სხვადასხვა წარმატებული კომპანიის, საერთაშორისო ორგანიზაციების, საელჩოების თანამშრომლები, ჩვენი თანამოქალაქეები და უცხოელი სტუმრები.

**ფესტივალის განრიგი ცნობილია**

**15 ივნისი, შაბათი**

**12:00 - 14:00 რეგისტრაცია, სასტუმრო ,,კრისტალის" ტერიტორია (საბაგიროსთან);**

**13:00 - 13:45 ვორქშოფი გარემოსდაცვაზე, სასტუმრო ,,კრისტალი";**

**14:00 - 18:00 ჯგუფებად დაყოფა და დასუფთავება ,გასვლა ობიექტებზე;**

**18:00 - 19:00 სასტუმროებში დაბრუნება;**

**19:00 - 20:30 ვახშამი ,,დიდველი გალერი";**

**21:00 - 00:00 კონცერტი (ნინუცა გაბისონია& ბაჩი ვალიშვილი, დავით ლომიძე) დღის დახურვა, ბაკურიანი ინნ.**




**16 ივნისი, კვირა**

**10:30 - 11:00 რეგისტრაცია, სასტუმრო კრისტალი (საბაგიროსთან);**

**11:00 - 15:00 ჯგუფებად დაყოფა, დასუფთავება, გასვლა ობიექტებზე;**

**15:00 - 17:00 ბარბიქიუ და ფესტივალის დახურვა, ,,დიდველი გალერი";**

ფესტივალის მონაწილეებისთვის მხარდამჭერები უზრუნველყოფილნი იქნებიან ხელთათმანებით, სანიტარული საშუალებებით, ნაგვის ტომრებით, საწვიმრებით (ნალექის შემთხვევაში), წყალით და საღამოს კვებით.

**ფესტივალის აქტიური მხარდამჭერები არიან**: Chevening Alumni Programme Fund და ბაკურიანის განვითარების სააგენტო.

ოქროს სპონსორები: ნუტრიმაქსი, Inn Group, Crystal Group da Didveli Gallery, Tegeta & Tegeta Green Planet.

სპონსორები: სოკარი, ბორჯომი, Orient Logic, Rooms Hotels, ორკინი საქართველო, კოხტა მიტარბი და Fin Beauro.

მედია მხარდამჭერები: Georgia Today და პალიტრა მედია.

# როდესაც ტყის ხანძარი ჩნდება:

## იყავით უსაფრთხოდ და ინფორმირებული



**ტყის ხანძარი სერიოზულ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ჩვენს ბუნებრივ გარემოს, არამედ სახლებსა და სიცოცხლეს. იმის ცოდნამ, თუ რა უნდა გააკეთოთ და რა არა, შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ტყის ხანძრის დროს.**

**რა უნდა გააკეთოთ: იყავით ინფორმირებული: ყოველთვის ადევნეთ თვალი ადგილობრივ ამბებს ტყის ხანძრის საშიშროების შესახებ.**

**თვალი ადევნეთ ტელევიზიას და სოციალურ მედიას.**

**მოამზადეთ გადაუდებელი დახმარების ნაკრები:**

**მოამზადეთ ნაკრები ისეთი აუცილებელი ნივთებით, როგორიცაა წყალი, საკვები, მედიკამენტები და მნიშვნელოვანი დოკუმენტები.**

**ადრეული ევაკუაცია: თუ ევაკუაციის ბრძანება გაიცემა, ნუ დაელოდებით, დატოვეთ ტერიტორია.**

**დაიცავით თქვენი სახლი: გაასუფთავეთ აალებადი მასალებისგან თქვენი სახლის გარშემო ტერიტორია. თუ საშუალება გექნებათ, დახურეთ ფანჯრები, რათა თავიდან აიცილოთ სახლში კვამლის შეღწევა.**

**ევაკუაციის დროს გამოიყენეთ ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მარშრუტები.**

**ნუ უგულებელყოფთ ევაკუაციის ბრძანებებს: არასოდეს შეაფასოთ ტყის ხანძრის სიმძიმე.**

**არ დატოვოთ ხანძარი უყურადღებოდ: თუ ბანაკში, ან მწვადზე მიდიხართ, დარწმუნდით, რომ ცეცხლი მთლიანად ჩააქრეთ გამგზავრებამდე.**

**არ დაბრუნდე სახლში შესაბამისი უწყებების გაფრთხილების გარეშე. ფარული საფრთხეები, როგორიცაა დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა შეიძლება სიცოცხლისთვის საშიში იყოს.**

**არ დაივიწყოთ მეზობლების დახმარება: თუ თქვენ გყავთ ხანდაზმული ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მეზობლები, შესთავაზეთ დახმარება. მათ შეიძლება დასჭირდეთ თქვენი დახმარება ინფორმაციის მისაღებად და სახლის დატოვების დროს.**

**არ დაივიწყოთ თქვენი შინაური ცხოველები: საჭიროა მათი ევაკუაცია, საკმარისი საკვებითა და წყლით.**

**გახსოვდეთ, რომ თქვენი და თქვენი საყვარელი ადამიანების, მათ შორის შინაური ცხოველების უსაფრთხოება უმთავრესია ტყის ხანძრის დროს. ამ მარტივი რეკომენდაციების დაცვით, შეგიძლიათ, დაეხმაროთ საკუთარი თავს, ოჯახსა და გარშემომყოფებს.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ

1997 წელს,

რეგისტრაციის №24.04.59

რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.

მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65.

იბეჭდება: თბილისი, ე. ბაღდავაძის №20.

WWW. colorgroup.ge

borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე